საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №40/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 8 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 27 ივლისის №40/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება.

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის სარჩელს იხილავდა მოსამართლე -- --, რომელიც ერთი საათის დაგვიანებით ჩავიდა სხდომაზე და საქმის განხილვისას დაარღვია პროცესუალური ნორმები, მაგალითად შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები.

ასევე მოსამართლემ მოსარჩელეს მოსთხოვა დარბაზის დატოვება 10 წუთით და დარჩა მეორე მხარესთან ერთად სხდომის დარბაზში, რამაც საჩივრის ავტორს გაუჩინა მისი მიკერძოებულობის ეჭვი.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს წარმოებაში იყო -- -- სარჩელი, მოპასუხის - -- --, -- -- და -- -- მიმართ, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით - 6,000 ლარის ოდენობით.

2016 წლის 18 იანვარს, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რომელიც გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქმე განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

-- -- სასამართლომ განსახილველად მიიღო -- -- სარჩელი და მოპასუხეებთან გააგზავნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

მოპასუხეებმა შესაგებლები წარადგინეს 2016 წლის 19-21 ივლისს.

სამოქალაქო საქმე 2017 წლის 11 აპრილიდან განტვირთვის მიზნით გადაეცა მოსამართლე -- --, ხოლო 2017 წლის 26 ოქტომბრიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდა მოსამართლე -- --. მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 6 თებერვალს.

2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება 2018 წლის 13 მარტს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.გ.“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლის მიერ ამ კანონის 72^1 მუხლის პირველი პუნქტის და 72^2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა (მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობა) წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას. მოსამართლე თავს უნდა არიდებდეს მხარეებთან ისეთი სახის კომუნიკაციებს რომლებმაც შესაძლოა, საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვიონ, ან იმგვარად წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს რაიმე სახის მიკერძოება ამოძრავებდეს. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს მისი მხარესთან განხორციელებული ზედმეტი კომუნიკაციის გამოც.

მოსამართლე -- -- მოპასუხესთან კომუნიკაცია, მოსარჩელის თანდასწრების გარეშე, მაშინ როდესაც თავად მიუთითებს მხარეს რომ დატოვოს ცოტა ხნით სხდომის დარბაზი და მოპასუხესთან

განმარტოვდება, დავის მხარეს აღუძრავს ეჭვს, რომ მოსამართლე მიკერძოებულია და გადაწყვეტილებას მის საწინააღმდეგოდ მიიღებს.

სხდომის ოქმის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის მოსმენის შედეგად იკვეთება, რომ მოსამართლე 2018 წლის 6 თებერვალს გამართულ სხდომაზე ბოდიშს უხდის მოსარჩელე -- -- იმისთვის, რომ დაატოვებინა რამდენიმე წუთით დარბაზი და განუმარტავს, რომ მოპასუხესთან ისაუბრა მორიგების პირობებზე (16:40:15). აღსანიშნავია, რომ მორიგების პირობების განხილვა უნდა მოხდეს ორივე მხარის თანდასწრებით და არა ინდივიდუალურად თითოეულ მხარესთან.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

დისციპლინური საქმეზე №40/18 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რვა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არსებობდა მოსამართლე -- -- დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები, ხოლო ოთხმა წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის ცალსახა საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ რვა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №40/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი